



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #084/13¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

გიორგი გიორგაძე (სტუდენტი)

ფაქტები

კლიენტის ოჯახის წევრსა (საჩივრის ავტორი) და ადვოკატს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომ ადვოკატს უნდა ეწარმოებინა სისხლის სამართლის საქმე. ადვოკატს გადაეცა საადვოკატო მომსახურების თანხა - 500 (ხუთასი) აშშ დოლარი. საჩივრის ავტორის განმარტებით, საქმეში არსებული სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნა გაყალბებული იყო და ადვოკატს სთხოვდა დამატებითი ექსპერტიზის ჩატარებას. ადვოკატმა განუცხადა, რომ არსებობდა მხოლოდ ერთი, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, რომელსაც ამ საქმეზე უკვე ჰქონდა ჩატარებული ექსპერტიზა და დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნას სასამართლო არ მიიღებდა. ერთი თვის შემდეგ, ადვოკატმა თავად შეატყობინა კლიენტს, რომ იცნობდა ერთ-ერთ ექსპერტს, რომელიც ჩაატარებდა დამოუკიდებელ ექსპერტიზას და მისი მომსახურების საფასური იქნებოდა 500 ლარი. საჩივრის ავტორმა მოისურვა ამ ექსპერტთან შეხვედრა, რაზედაც ადვოკატისაგან უარი მიიღო. საჩივრის ავტორმა დამატებით გადაუხადა ადვოკატს ექსპერტიზისათვის გათვალისწინებული 500 ლარი. სასამართლო სხდომაზე აღმოჩნდა, რომ არანაირი ექსპერტი საქმეში არ ყოფილა ჩართული, რაზედაც საჩივრის ავტორმა ადვოკატს მოსთხოვა 500 ლარის უკან დაბრუნება. ადვოკატის განმარტებით, მან 360 ლარი საქმისთვის გამოიყენა, კერძოდ შეიძინა ალკოჰოლური სასმელი გარკვეული პირებისათვის. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატს ასევე გადაცემული ჰქონდა ჟურნალისტის მიერ ალტერნატიული გამოძიების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების ვრცელი ნუსხა მოწმეებისა და ახლად აღმოჩენილი გარემოებების მითითებით, ხოლო მან აღნიშნული სასამართლოს არ წარუდგინა. ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორმა მას აუცილებელი ხარჯებისთვის ამ პერიოდში გადასცა 500 ლარი, რაც არ წარმოადგენდა ექსპერტისთვის გადასაცემ ჰონორარს. ადვოკატმა ეთიკის კომისიის სხდომაზე დამატებით განმარტა, რომ ეს 500 ლარი კლიენტმა თავად მისცა დაჟინებული თხოვნით, რადგან ფიქრობდა, რომ თანხის გადაცემის შემდეგ ადვოკატი უფრო მეტს გააკეთებდა. ადვოკატი განმარტავს, რომ ამ თანხის ნაწილით ერთხელ ისაძილა სპეციალისტებთან ერთად, რა დროსაც საუბრობდნენ, თუ როგორი ფორმულირების სჯობდა კითხვების დასმა ექსპერტისათვის.

პროცესუალური ისტორია

კლიენტის ოჯახის წევრმა (იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების მხარემ) შეიტანა საჩივარი ეთიკის კომისიაში და მოითხოვა ადვოკატის დისციპლინირება. საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე აპეკ-ის 8.8 და 8.12 მუხლების დარღვევის ფაქტებზე. საპროცესო კოლეგიამ არ აღძრა დევნა ადვოკატის მიმართ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), აპეკ-ის 8.5 მუხლის შესაძლო დარღვევის ფაქტზე, რადგან ადვოკატის მიერ არაკვალიციური მომსახურების გაწევის ფაქტი ვერ დაადგინა.

¹ <https://gba.ge/pdf/5cb586a8ee7aa.pdf/085.13%2016.10.18,%20kerzo.pdf>

სამართლებრივი შეფასება

მოსარჩელესა და ადვოკატს შორის სადავო გახდა კლიენტის მიერ გადაცემული 500 (ხუთასი) ლარის მიზნობრიობა. თანხის გამოყენების მიზნებთან დაკავშირებით კლიენტს ადვოკატისგან არ მიეწოდა შესაბამისი ინფორმაცია. ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს წინასწარ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ანაზღაურების გამოთვლის წესისა და შესაბამისი განაკვეთის თაობაზე. ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით, რომლის მომწესრიგებელი ნორმები გაწერილია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში. ადვოკატს პროფესიული რეგულაცია ავალდებულებს, რომ კლიენტს წინასწარ მიაწოდოს სწორი და ზუსტი ინფორმაცია, თუ რას მოხმარდება კლიენტის მიერ გადახდილი თანხა. მას შემდეგ, რაც კლიენტი ადვოკატს გადასცემს ამ თანხას, ადვოკატს ეკისრება ვალდებულება აწარმოოს ხარჯთაღრიცხვა, რომელიც მოთხოვნის შემთხვევაში უნდა წარუდგინოს კლიენტს და გააცნოს, რომელ მოქმედებას მოხმარა კლიენტის მიერ მისთვის გადაცემული თანხა. კომისიის შეფასებით, იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, რომ კლიენტს წინასწარ მოაწოდა ინფორმაცია თანხის მიზნობრიობასთან დაკავშირებით და შემდეგ წარუდგინა ანგარიშგება, ეკისრება ადვოკატს. კოლეგია დადგენილად მიიჩნევს, რომ ადვოკატს კლიენტისთვის არ მიუწოდებია სწორი ინფორმაცია აღნიშნული 500 ლარის მიზნობრიობასთან დაკავშირებით და არ უწარმოებია ხარჯთაღრიცხვა.

დასკვნა

ეთიკის კომისიამ დაადგინა ადვოკატის მხრიდან აპეკ-ის 8.8, 8.12 მუხლების დარღვევა. ეთიკის კომისიამ ადვოკატს დისციპლინური ზემოქმედების ფორმად განუსაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.